



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №57
2015 წლის 30 ივნისი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N6 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N6 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და

ა) განკარგულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით დამტკიცებული „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა“ (დანართი N2) ჩამოყალიბდეს დანართის (თან ერთვის) შესაბამისად.

ბ) განკარგულების მთელ ტექსტში სიტყვა „მ. კეიღია“ შეიცვალოს სიტყვით „თ. ფირცხალაიშვილი“.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ხელაძე

- 1 პროგრამის სახელწოდება:
მრავალშეიღიანი ოჯახების დახმარების პროგრამა
- 2 პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური
- 3 პროგრამის მიზანი:
მრავალშეიღიანი ოჯახების (რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი, 16-დან 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად მიიღებენ 25 ლარს. ოჯახს უნდა გააჩნდეს სარეიტინგო ქულა 100001-მდე. დახმარებას მიიღებენ ასევე ის ოჯახები, რომლებსაც ყავთ 4 და მეტი 18 წლამდე შვილი და რომელთაც გააჩნიათ სარეიტინგო ქულა 100000-ს ზემოთ) ყოველთვიური ფინანსური დახმარება.
- 4 პროგრამის აქტუალობა:
მრავალშეიღიანი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა, რაც აუზრუნველებს დემოგრაფიულ მდგომარეობას.
- 5 სფერო რომელსაც ეხება პროგრამა:

მშენებლობა	სოც.უზრუნველყოფა	ჯანმრთელობა	სპორტი	სხვა (მოუთითეთ)
ტრანსპორტი	უსაფრთხოება	ინფრასტრუქტურა	გეონომიკა	
- 6 პროგრამის აღწერა:
მრავალშეიღიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი, 16-დან 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად მიიღებენ 25 ლარს. ოჯახს უნდა გააჩნდეს სარეიტინგო ქულა 100001-მდე. დახმარებას მიიღებენ ასევე ის ოჯახები, რომლებსაც ყავთ 4 და მეტი 18 წლამდე შვილი და რომელთაც გააჩნიათ სარეიტინგო ქულა 100000-ს ზემოთ. 2014 წლის მონაცემებით პროგრამით სარგებლობს 30 ოჯახი.
- 7 პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება

საკუთარი უფლებამოსილება	დელეგირებული უფლებამოსილება
-------------------------	-----------------------------
- 8 პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი:
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

- 9 კავშირი სხვა პროგრამებთან
სოციალური დაცვის პროგრამები
- 10 პროგრამის სტატუსი:

ერთწლიანი	ახალი	მრავალწლიანი
-----------	-------	--------------
- 11 პროგრამის განხორციელების ვადები:

დაწყება:	01.01.2015	დასრულება:	31.12.2015
----------	------------	------------	------------
- 12 გადახდა

ამოცანა I.	ფინანსური დახმარება	ღონისძიება 1	შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში ყოველთვიურად თანხის გადარიცხვა
------------	---------------------	--------------	---
- 13 პროგრამის დასაფინანსებლად საჭირო თანხები:

Nº	დასახელება	სულ
1	ერთი საბიუჯეტო წელი	40 000
- 14 მიმდინარე პროგრამის შეფასების კრიტერიუმები:

1	მრავალშეიღიანი ოჯახები პროგრამა შეუქმნა დაღებიდა.
---	---
- 15 მოსალოდნელი შედეგები:

1	2014 წელს პროგრამით სარგებლობდა 30 ოჯახი.
---	---
- 16 მოსარგებლეთა შერჩევის წესი:
პასუხისმგებელი სამსახური ახორციელებს მონიტორინგს და ადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშეიღიანი ოჯახებს, რომელსაც ჰყავს 4 და მეტი 16-დან 18 წლამდე ასაკის შვილი და ოჯახის სარეიტინგო ქულა 100001-მდე ასევე, იმ ოჯახებს, რომლებსაც ყავთ 4 და მეტი 18 წლამდე შვილი და რომელთაც გააჩნიათ სარეიტინგო ქულა 100000-ს ზემოთ.

- 17 **თარიღი:**
- 18 **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური:**
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი *მ. ფარქაძე* /თ. ფირცხალაიშვილი/
- 19 **შეთანხმებულია:**
- | | | |
|--|-------------------|---------------|
| იურიდიული სამსახური: | <i>მ. ფარქაძე</i> | /მ. ჩაგუნავა/ |
| საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური: | <i>მ. ფარქაძე</i> | რ. დაშვილი |